

და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები. მრავალთავი, XX, თბ., 2004, გვ. 106-114. მ. მაჭავარიანი, წმ. დიმიტრი თესალონიკელის შესხმა ქართულ მწერლობაში. მაცნე, ელს, 2004-2005, გვ. 165-176. ც. ქურციკიძე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 42-63. თ. მარგიანი, სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუაჲ შესხმისაჲ წმიდისათჳს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა“ ქართული თარგმანი. ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 131-143. მ. რაფაგა, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილია „ნათლისღებისათჳს“ (or.39) ქართულ მრავალთავებში. მაცნე, ელს, 1, 1993, გვ. 58-71. ნ. მელიქიშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის შობის ჰომილიის (or. 38) ქართული თარგმანები. მაცნე, ელს, 2, 1991, გვ. 89-100. ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე, თბ., 2000 (და იქ დასახელებული ბიბლიოგრაფია). ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, I, თბ., 1996. ქ. ბუზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბ., მეცნიერება, 2004 (და იქ დასახ. სრული ბიბლიოგრაფია).

შენიშვნა: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ორასამდე ერთეულს აღწევს (იხ. დასახ. ბიბლიოგრაფიები; ასევე ვებ-გვერდი: <http://nazianzos.fltr.ucl.ac.be/>). საენციკლოპედიო შრომაში დასახელებულია მხოლოდ უარსებითესი პუბლიკაციები და გამოკვლევები.

ქეთევან ბუზარაშვილი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო კატალოგი

2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირმა გამოსცა ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგი სამ ტომად სახელწოდებით The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. კატალოგის ბაზისს შეადგენდა ანტი აარნეს დაარსებული და შემდგომ სტით თომპსონის მიერ გავრცობილი „ზღაპართა ტიპების საძიებელი“, რომელიც გადაამუშავა და სრულყო გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპარმცოდნემ, პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამიერიდან სამეცნიერო მიმოქცევაში ზღაპრის ახალი კატალოგი მითითებული იქნება შემოკლებით ATU (Aarne-Thompson-Uther).

ევროპაში გავრცელებულ ზღაპართა ტიპებისათვის ანტი აარნეს მიერ შედგენილი სისტემა (Aarne, A.: Verzeichnis der Märchentypen, Helsinki 1910 =FF Communications 3.) სტით თომპსონმა გაზარდა და ორი გამოცემა მოამზადა (Aarne, A.: The Types of the Folk-Tale. Translated and Enlarged by Stith Thompson, Helsinki 1928 = FF Communications 74; Aarne, A./Thompson, St.: The Types of the Folktale. A Classification and Bibliography. Second Revision, Helsinki 1961 =FF Communications 184.).

დღეს უკვე ხელთ გვაქვს ჰანს-იორგ უთერის მიერ საფუძვლიანად გადამუშავებული ზღაპრის ტიპთა კატალოგი, რომელშიც შემდგენელმა გაასწორა ის ლაფსუსები, რომლებიც წინა საძიებლებს ახლდა და ამავე დროს არ დაურღვევია ტრადიციული პრინციპები სიუჟეტთა ტიპების აღწერისათვის.

აარნე-თომპსონ-უთერის საერთაშორისო კატალოგის სახით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სამაგიდო წიგნი ისტორიულ-კომპარატივისტულად ორიენტირებული ფოლკლორისტიკისა და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემის ფართო მასშტაბით კვლევისათვის.

1. ევროპულ მეცნიერთა კრიტიკული შენიშვნები წინამორბედი კატალოგის მიმართ

კრიტიკა ძველი საძიებლის (აარნე-თომპსონის) მიმართ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავდა:

- 1) თხრობითი ჟანრების ტიპოლოგია თითქოსდა წარმოადგენდა ზუსტ საბუნებისმეტყველო სქემას, რომლებიც თხრობითი გადმოცემების ცოცხალ სინამდვილეში არ არსებობს.
- 2) ჟანრის განსაზღვრება და მოქმედ პირთა ფუნქციები ხშირად არც თემატურად და არც სტრუქტურულად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, ტიპს AaTh 850-999: *Novelle/Romantic Tales* (საყოფაცხოვრებო ზღაპარი) საფუძვლად არ ედო არავითარი კონკრეტული ჟანრი.
- 3) „ფინური სკოლა“ მთლიანად კონცენტრირებული იყო მე-19 საუკუნის ზეპირ გადმოცემებზე, რაც უურადღებს ადუნებდა ამ გადმოცემების უფრო ძველ ფიქსირებულ ვარიანტებზე და ლიტერატურულ წყაროებს მეორეულ წარმონაქმნად მიიჩნევდა.
- 4) საძიებელში შესული იყო უმეტესად ევროპული და ევროპელებისთვის ცნობილი დასავლეთ აზიის ქვეყნების ფოლკლორი. გარდა ამისა, ევროპული მასალა არათანაბრად იყო მოხმობილი; ნაწილობრივ არეული იყო კოდები და უამრავი მონაცემი არ იყო ზუსტი, მაგალითად, დანიური ან რუსული. საძიებელს ზოგან აკლდა პორტუგალიური ფოლკლორის ნიმუშები, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის გადმოცემები კი თითქმის არ იყო გათვალისწინებული კატალოგში; მცირე ეთნიკური ჯგუფების ფოლკლორი არ წარმოდგენილი ან საკმარისად არ იყო აღწერილი (ბასკური, ლადინური, ფრიზული და სხვა).
- 5) ცალკეული ტიპების წარმოჩენა, რომლებსაც ცოტა ვარიანტი მოეპოვებოდა, კლასიფიკაციის სისტემას აბუნდოვანებდა და არასაჭიროდ ხდიდა.
- 6) საძიებელს ხშირად აკლდა შესატყვისი სამეცნიერო ლიტერატურა.
- 7) კატალოგში მოხმობილი იყო ტრადიციული კრებულები და თითქმის არ იყო გამოყენებული ახალი გამოცემები.
- 8) ზღაპართა ტიპები მწირად იყო აღწერილი, ხშირ შემთხვევაში, არაზუსტად და აქცენტი მხოლოდ მამრობითი სქესის პერსონაჟების მოქმედებაზე იყო გაკეთებული.
- 9) სათუო იყო ე. წ. თავისებური ტიპების (irregular) აღწერილობა.
- 10) ზღაპრების ბევრი ვარიანტი ხშირად საარქივო მასალებიდან მომდინარეობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასალები ძნელად ხელმისაწვდომი იყო.

2. ზანს-იორგ უთერი ევროპული ზღაპარმცოდნეობის ძირითადი ტენდენციების შესახებ

გარდა კატალოგის პრაქტიკული მნიშვნელობის აღწერისა, წიგნის წინასიტყვაობაში პროფესორი უთერი მიმოიხილავს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და თანამედროვე ზღაპარმცოდნეობის საკითხებს.

ათწლეულების წინ მოქმედ სისტემაში შესამჩნევი იყო საჭირო ინფორმაციის ნაკლებობა ისტორიული და თანამედროვე სიუჟეტების შესახებ, განსაკუთრებით ევროპიდან — უპირველეს ყოვლისა, იგავების, ცხოველთა ეპოსის, ლეგენდების, ზღაპრების, ანექდოტებისა და ფორმულების სფეროში. ასეთ სისტემაში, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა ყველა ზეპირი და ლიტერატურული ფორმის ფიქსირება, რომლებიც მსოფლიოშია გავრცელებული. კატალოგის უანრობრივი სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული თემატური კონცეფციები ამას გამორიცხავს.

ტერმინ „ზღაპრის“ (folktale) გამოყენება კრებით ცნებად „ხალხური მოთხრობები-სათვის“ (folk narratives) ლიტერატურული ჟანრის არამკაფიოებას აჩვენებს. მაგალითისთვის, გრიმების გახსენება შეიძლება: ისინი ცნება „ზღაპარში“ აერთიანებდნენ ეტიმოლოგიურ გადმოცემებს, იგავებს, ცხოველთა ზღაპრებს, მორალისტურ ამბებს, შვანკებს, ექსემპლებს, ლეგენდებს, თქმულებებსა და შესაბამის შერეულ ფორმებს, როგორცაა ლეგენდარული შვანკები და ზღაპარ-ანექდოტები.

მაშინ, როცა ზღაპარს მისადაგებული ჟანრები აარნე-თომპსონის კატალოგში შევიდა, აღმოჩნდა, რომ ხალხური მოთხრობები არაევროპული რეგიონებიდან მხოლოდ პირობითად იქნა თემატურად კლასიფიცირებული. ეს, პირველ რიგში, ეხება მითოსს, ეპოსს, თქმულებას და ეტიმოლოგიურ გადმოცემებს.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებამდე ფოლკლორისტიები ხშირად თვლიდნენ, რომ ზეპირი მოთხრობები საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და წინაპართა რწმენების მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენდა; ეროვნული იდენტობისთვის ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობას უფრო მეტადაც კი აფასებდნენ, ვიდრე ლიტერატურულ წყაროებს. ამ რომანტიკულ შეფასებაზე გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნეში ევროპაში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობებმა. ეს ტენდენცია მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა ხალხური წყაროების შეკრებისას.

თუ ანტი აარნემ ძველი ლიტერატურული წყაროები არსებითად უარყო, თომპსონმა ყურადღება მიაქცია ისეთ მნიშვნელოვან ავტორებს, როგორც არის ჩოსერი, ბოკაჩო, ბაზილუ და იოჰანეს ბაული. ამის მიუხედავად, მაინც არასაკმარისად იყო ასახული ეს ლიტერატურული წყაროები მათ საძიებელში და უყურადღებოდაც დარჩა.

უძველესი წერილობითი ნიმუში ცხოველთა ეპოსისა (animal tales) მრავალჯერ იქნა კლასიფიცირებული, როგორც „თავისებური“ (irregular) ჭვეტიპი. ასეთი კლასიფიკაცია ნიშნავდა მასალის ისტორიული მნიშვნელობის უარყოფას და ნუმერაციის სისტემაში ართულებდა შემოწმების შესაძლებლობას. დღევანდელი გადასახედიდან ყოვლად დაუშვებელია ლიტერატურული წყაროების გაუთვალისწინებლობა ზეპირსიტყვიერი მასალის კვლევისას.

ბეგრ ე. წ. ხალხური გადმოცემას მდიდარი წერილობითი ტრადიცია აქვს. ბეგრი ფოლკლორული ნიმუში თავისი სიუჟეტით მსოფლიო ლიტერატურიდან მომდინარეობს, რომლებიც ხალხში ზეპირი გზით ვრცელდებოდა და მთქმელების (homo narrans) ფანტაზიით გადამუშავდებოდა. ეს ეხება უმეტესწილად ეხოპეს სახელთან დაკავშირებულ იგავ-არაკებს და მათ მსგავს მოთხრობებს აღმოსავლურ ტრადიციაში.

როგორც შუალედური რგოლი, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე შუა საუკუნეების არაბული ანექდოტები, ევროპული ექსემპლები ან გვიანი შუასაუკუნეების ფარსები, ფაბლიოები და ნოველები, რომლებიც აისახა შემდგომ ეპოქაში. ხშირად ჰქონდა ადგილი წერილობითი და ზეპირი გზით გადმოცემული მოთხრობების ურთიერთგავლენას. გამონაკლისია, ცხადია, დამწერლობის არმქონე ხალხთა მრავალი თქმულება.

3. ტიპის, მოტივისა და ელემენტის განსაზღვრის საკითხისათვის

აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგში ათწლეულების მანძილზე მოქმედი ნორმები კვლავ იგივე დარჩა ისტორიული მოსაზრებით. ერთი სიუჟეტური ტიპის, როგორც დასრულებული მოქმედების ან ერთი სიუჟეტური მოტივის, როგორც უმცირესი თხრობითი ერთეულის განსაზღვრება, შეიძლება ისევ იქცეს კრიტიკის საგნად, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელთ გვაქვს საინტეგრაციო ბაზისი უამრავი ფუნქციონალურად და ფორმალურად განსხვავებული მოთხრობებისა სხვადასხვა ეთნიკური, დროითი და ჟანრობრივი კვანძებიდან.

განსხვავება მოტივსა და ელემენტს შორის, რომელიც ასახავს მოქმედ გმირებს, საგნებსა და მომხდარ ამბებს, მდგომარეობს შინაარსში. აქ არის კომბინაცია ამ სამივე ელემენტისა, მაგალითად: ქალი ჩნდება ჯადოსნური საჩუქრით და ცვლის არსებულ მდგომარეობას. „მოტივს“ აქ აქვს მკაფიო დეფინიცია — „თხრობითი ერთეული“, რომ ამით ლიტერატურის მცოდნეობითი და ეთნოლოგიური კვლევისათვის მზად იყოს.

მოტივს საფუძვლად უდევს დინამიკა, რადგან ის სხვა მოტივთა ელემენტებთან კომბინირებადია. აქედან გამომდინარე, მოტივები ელემენტარულ საშენ მასალას ქმნიან მოთხრობისათვის. მკვეთრი საზღვარი მოტივსა და ტიპს შორის არ არსებობს: საზღვარი გარდამავალია. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, შინაარსებსა და თემებს შორის მოხდეს დიფერენციაცია, მეორე მხრივ კი, გათვალისწინებულ იქნეს ფორმა და ფუნქცია, როგორც არსებითი ელემენტი ჟანრის კონსტრუქციისათვის.

კატალოგის შემდგენელის აზრით, ბიოლოგიურ დიფერენციაციაზე დამყარებული საბუნებისმეტყველო სიზუსტე, რომელიც ტიპოლოგიის სისტემის მომხრეებმა წარმოადგინეს და რომელმაც შემდგომ სემანტიკურ-სტრუქტურალისტურ კვლევაზე მოახდინა გავლენა, მაინც არ არის მიღწეული და მეცნიერებაში ჯერჯერობით ოცნების სფეროს არ სცილდება. სტრუქტურალისტური განსჯა მხოლოდ ფოლკლორული მასალის კოდიფიცირებისთვის არის საჭირო.

ჟანრთა დაწვრილებითი განმარტებები შესაძლებლობას იძლევა მსგავსი თემები და სიუჟეტები საბოლოოდ იქნეს აღწერილი, თუმცა მათ შეიძლება განსხვავებული ფუნქციები ჰქონდეთ თავისი წარმოშობისა და არსებობის ისტორიის მანძილზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით მულტიკულტურული ჰომოგენურობა დადგინდეს. აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგი არის ბიბლიოგრაფიული ცნობარი ფოლკლორული ჟანრების მრავალფეროვნების შესახებ.

კატალოგი ტიპებად ყოფს და აღწესს სხვადასხვა დროისა და ეთნიკური წარმოშობის სიუჟეტებს, წარმოადგენს მათ ტექსტებისა და ლიტერატურის მითითებით და ამზადებს შემდგომი კვლევისათვის. ბარადოქსად რჩება: ტიპების აღწერილობები მოიცავს სხვადასხვა და ცვალებად სტრუქტურულ ელემენტებს, მაგრამ ამით არ ხდება განმარტება ამ ელემენტთა და მოტივთა ფუნქციებისა, რაც ისევ და ისევ სვამს საკითხს კონტექსტის შესახებ (ტიქსტების ასაკი, გადმოცემის ტრადიცია და გავრცელება).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფოლკლორული ნიმუშების დოკუმენტაცია ბევრ ქვეყანაში, ეთნიკურ და ენობრივ რეგიონებში ერთდროულად არ მიმდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წარსულში საერთაშორისო კატალოგში უმეტეს ნაწილს შეადგენდა ევროპული მასალა. ეს მდგომარეობა ახლაც გრძელდება ამ კატალოგში, მაგრამ ეს არ არის არავითარი იდეოლოგიური ეთნოცენტრიზმი, არამედ მხოლოდ ანარეკლი მაშინდელი სიტუაციისა კვლევის სფეროში. უამრავმა ქვეყანამ მხოლოდ ახლა დაიწყო თავისი ფოლკლორის სისტემატიზებული დამუშავება.

4. ATU-ზე მუშაობის შედეგები

პროფ. ჰანს-იორგ უთერმა განაახლა და წარმოადგინა ხალხური თხრობითი ჟანრების ტიპების სრული აღწერა 2003 წლამდე არსებული კვლევის შედეგებითურთ. წიგნში დასახელებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ლიტერატურა. მასში შედის როგორც საერთაშორისო ვარიანტების დიდი რაოდენობა, ასევე ცალკეული მონოგრაფიები თხრობით ჟანრთა ტიპებზე. უმნიშვნელო კატალოგსა და ვარიანტებზე საგულდაგულოდ შევსებულია და გათვალისწინებულია დღემდე არსებული ყველა მოტივისა თუ ტიპის საძიებლების მონაცემები. წინამორბედ კატალოგში გაბნეული სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ერთმანეთთან შინაარსობრივ და სტრუქტურულ კავშირში იყვნენ, ერთად დალაგდა. ზოგიერთი ტიპი ამოღებულ იქნა, თუ ისინი არავითარ დროით, ეთნიკურ და გეოგრაფიულ გავრცელებას არ ექვემდებარებოდნენ და ამ ტიპების მოძიება რეგიონალურ ტიპების კატალოგების კომპეტენციაში დარჩა.

ATU კატალოგში ყოველ სიუჟეტურ ტიპს აქვს ნომერი, სახელწოდება და გადმოცემულია შინაარსი. ეს კონცეფცია „თხრობითი ჟანრის ტიპს“ გაიაზრებს, როგორც „მოხეტიალეს“. ამით აღინიშნება არა როგორც ფიზიკური სიდიდე, ანდა წარსულის მკვდარი მასალა, არამედ პირიქით: სიუჟეტური ტიპი განსაზღვრულია თავისი დიდი დინამიკით და ადაპტაციის უნარით — ტიპს შეუძლია სხვა თემატურ და შუალედურ კომპონენტებთან ინტეგრაცია.

- ა) ზღაპრის ტიპთა ნომრები. სამეცნიერო ლიტერატურაში 100 წელზე მეტ ხანს გამოიყენებოდა ზღაპართა საძიებლის ტიპთა ნომრები. ეს ნომრები ახლაც იგივე დარჩა ყველა სიუჟეტური ტიპისათვის. უამრავი ზღაპრის ტიპი, რომელიც აარნე-თომპსონის კატალოგში სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული და საერთო ჯამში ერთსა და იმავე ტიპს წარმოადგენდა (როცა თომპსონმა რეგიონალური ტიპების ნუმერაცია გააკეთა, აღარ მიაჩნია უურადლება, რომ მსგავსი ტიპები უკვე არსებობდა კატალოგში თავიანთი ნომრებით), ამ ახალ საძიებელში ერთად დალაგდა.
- ბ) „ტიპთა დაფიქსირება“ ნაწილობრივ შეიცვალა „ტიპთა აღწერილობით“: გაფართოვდა და შეივსო. საინფორმაციო მოსაზრებით ძველი სახელწოდება ტიპისა იგივე დარჩა და ახალი დაემატა. ახალ სახელწოდებაში კი ჩაემატა მოქმედი გმირის სქესი, მთავარი მოქმედი პირების დასახელება და მათი მოქმედების არე. ამით არიდებული იქნება გაუგებრობა და შეცდომები. ტიპთა აღწერილობაში აღნიშნულია, აქტიურია თუ პასიურია გმირი, ვინ არის მისი მოწინააღმდეგე, რა მოქმედება ხდება, რომელი საგნებით და, შესაბამისად, ამოსაცნობი იქნება ეს სიუჟეტური ტიპი. თავად ტიპის აღწერილობის ბაზას წარმოადგენს გეტინგენის ინსტიტუტში არსებული „ზღაპრის ენციკლოპედია“, დაცული საარქივო მასალები კლასიფიცირებული ტექსტების შესახებ. ეს აღწერილობა იძლევა ძირითად ფორმას, რომელშიც შედის ცენტრალური სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები და უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირები. მოხმობილია რელევანტური ცნობები შედარებით დაშორებულ ვერსიებზე. ორიენტაციას აადვილებს წყაროების დასახელება სტრუქტურულად მსგავსი სიუჟეტების შესახებ.
- გ) რუბრიკაში „კონტამინაცია“ განთავსებულია ტიპების ძირითადი კონტამინაციები. როგორც წესი, ეს ეხება კომბინაციების დასახელებას.
- დ) რუბრიკაში „რემარკები“ დასახელებულია ძირითადი წყაროები, ანდა მითითებულია სიუჟეტური ტიპის წამომავლობა.
- ე) რუბრიკა „ლიტერატურა/ვარიანტები“ ორი სახით არის განლაგებული: პირველად არის მითითებული ქრონოლოგიურად დალაგებული ძირითადი ლიტერატურა ვარიანტებითურთ. პუბლიკაციები შეიცავს მონაცემებს გადმოცემის

შესახებ (ასაკი, გავრცელება, წყაროები), ანდა იძლევა სტრუქტურულად მნიშვნელოვან ახსნას. აქ ყველა გამოცემა არ არის დასახელებული იმ მოსაზრებით, რომ ახალ პუბლიკაციებში ისინი დამოწმებულია და უფრო ხელმისაწვდომია.

ამის შემდგომ მითითებულია სიუჟეტური ტიპის გეოგრაფიული გავრცელება. დოკუმენტირებულია მოცემული რეგიონების, ენობრივი და ეთნიკური ჯგუფების სიუჟეტურ ტიპთა და მოტივთა კატალოგები. აქაც ყველა ვარიანტი კი არ არის დასახელებული, არამედ ის ახალი კრებულები, რომლებიც ამ კატალოგთა გამოცემის შემდეგ გამოქვეყნდა. ამის გარდა, ეს რეგიონალური კატალოგები შეიცავს მდიდარ ინფორმაციას მოცემული რეგიონების შესახებ.

5. ქართული ზღაპრები ATU-ში

აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგში უხვად არის გამოყენებული ინფორმაცია რეგიონალური კატალოგებიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა და მათში ძველი კატალოგების მონაცემები შევიდა. მათ შორის არის პროფესორ თეიმურაზ ჭურდოვანიძის მიერ შედგენილი ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი, რაზეც 1970 წლიდან მუშაობდა მკვლევარი. 1976, 1983, 1988, 1996 წლებში გამოიცა პროფ. თ. ჭურდოვანიძის სხვადასხვა პუბლიკაცია (საძიებლები, სტატიები, მონოგრაფიები) ქართული ზღაპრების სიუჟეტური ტიპების შესახებ, 2000 წელს კი ეს საძიებელი სრული სახით გამოვიდა ინგლისურ და რუსულ ენებზე (The Index of Georgian Folktale Plot Types).

პროფ. თ. ჭურდოვანიძის დამსახურება ქართული ხალხური ზღაპრის შესწავლის საქმეში და მისი ზღაპართა საძიებლის მნიშვნელობა ვრცლად არის გადმოცემული დოც. ქეთევან სიხარულიძის რეცენზიაში, რომელიც დაიბეჭდა საუნივერსიტეტო ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“, 2001, №10-12(48). რეცენზიის დასკვნაში ქ. სიხარულიძე წერდა: „თ. ჭურდოვანიძის მიერ შედგენილი საძიებელი მომავლისთვისაა გათვალისწინებული. დიდი შრომით შექმნილი ეს წიგნი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მომავლის მკვლევარებს. იგი სერიოზულ მეცნიერულ ბაზის ქმნის ქართული საზღაპრო ეპოსის შესწავლისა და ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევისათვის, რომელიც ქართულ ფოლკლორისტიკაში ჯერ არ დასმულა“.

რეცენზენტის პროგნოზი ხუსტად სამ წელიწადში გამართლდა: 2004 წელს თ. ჭურდოვანიძის ქართული ზღაპრის სიუჟეტურ ტიპთა კატალოგი უდიდეს საერთაშორისო კატალოგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ქართული ზღაპრის საერთაშორისო მასშტაბით კვლევის პერსპექტივები.

ამგვარი რეგიონალური კატალოგების როლი ATU-სთვის განუსაზღვრელად დიდია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ისტორიულ-კომპარატივისტული მეცნიერების ფარგლებში პარადიგმულმა ურთიერთმიმართებამ სრულყოფას მიაღწია და ეს ამ ახალ კატალოგში სათანადოდ აისახა.

ATU-ში ქართული ზღაპრების საძიებლის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკისათვის. პირველ რიგში, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ქართული ფოლკლორული მასალის შესახებ საერთაშორისო ასპარეზზე. ქართული ზღაპრების სიუჟეტური ტიპების გამოჩენა კატალოგის თითქმის ყოველ გვერდზე კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ქართული ზღაპარი თავისი თავისებურებების გათვალისწინებით განუყოფელი ნაწილია მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების ერთიანი საუნჯისა.

ელენე გოგიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი